სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 26 იანვარი 2006 №16 (2638) ფასი 50 თეთრი

მერია თანახმაა

ეროვნულ სტადიონს ყველა ემხრობა

2



167 000 $: დილა იყიდება

ფაქტები ფაქტების წინააღმდეგ

5

ლივერპული მთელი ცხოვრება აუხსნელია

ინტერვიუ ანდრეი შევჩენკოსთან

7

ვინ?

გულისყრა კენჭისყრამდე: ვილაპარაკოთ თბილისში!

ოლიმპიაკოსი ფოფხაძეს: ვარჯიში კი, კონტრაქტი ჯერ არა

18 წლის გიორგი ფოფხაძის თაობაზე პირეოსის „ოლიმპიაკოსმა“ გუშინ გადაწყვეტილება მიიღო და სწორედ ამიტომ დავუკავშირდით ბერძნული გრანდის ნორვეგიელ მწვრთნელ *ტრონდ სოლიედს*...

— გადავწყვიტეთ, რომ ფოფხაძე ჩვენთან დარჩება და „ოლიმპიაკოსის“ მეორე გუნდში ივარჯიშებს სეზონის ბოლომდე, მერე კი ვნახოთ.

— ფოფხაძე მეორე გუნდის წევრიც არ იქნება?

— არა, კლუბი მას ჯერ კონტრაქტს არ უფორმებს.

— მეორე გუნდშიც ლიმიტირებულია არაევროკავშირელი ფეხბურთელების რაოდენობა?

— თუ პროფესიული კონტრაქტი გაფორმდება, ასეა, მაგრამ სამოყვარულო კონტრაქტის გაფორმებაც შესაძლებელია და ამ შემთხვევაში არაევროკავშირელებზე არანაირი ლიმიტი არ არის დაწესებული.

დავით თავართქილაძე

მონათლეთ ბრაზილიელები ქართულად!



რენატო

ეს უკვე იცით: საპლაჟო ფრენბურთში საქართველოს სახელით ითამაშებს ბრაზილიური წყვილი — რენატო და ჟორჟი. საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია გთავაზობთ კონკურსს — დაარქვით ბრაზილელებს ქართული მეტსახელი.

გამოგვიგზავნეთ თქვენი ვარიანტები, ფრენბურთის ფედერაციის მიერ მოწონებული ვერსიის ავტორი დაჯილდოვდება გაქართველებული ბრაზილიელების ავტოგრაფებიანი პეკინის ოლიმპიადის ოფიციალური ბურთით.



ჟორჟი

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

გიგი უგულავა

გია უდესიანი

ვამბობთ მერიას, ვგულისხმობთ მერს

ეროვნულ სტადიონს ყველა ემხრობა

ეროვნული სტადიონის სავარაუდო რეკონსტრუქციის თაობაზე გუშინდელ ნომერშიც გამცნეთ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ბუნებრივია, მოწადინებულია, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის განკარულებაში ჰქონდეს თუნდაც ერთი ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული სტადიონი. ჩვენთან საუბარში საკუთარი პოზიცია სპორტსაზოგადოება „დინამოს" აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი მეძმარიაშვილმაც დააფიქსირა — „დინამო" მხოლოდ მიესალმება ამ პროექტს და მზად არის, წილობრივი მონაწილეობა მიიღოს მის დაფინანსებაშიო.

ფეხბურთის ფედერაციას და სპორტსაზოგადოება „დინამოს" ჯამში ეროვნული სტადიონის აქციათა დაახლოებით მესამედი ეკუთვნით. ბუნებრივია, საინტერესოა აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი თბილისის მერიის პოზიციაც და გუშინ მერიის სპორტის სამსახურის ხელმძღვანელ *გია უდესიანს* დავუკავშირდით...

— ეროვნული სტადიონი უშუალოდ ჩვენი სამსახურის დაქვემდებარებაში არ შემოდის, თუმცა რადგან მისი ძირითადი მესაკუთრე თბილისის მერიაა, სტადიონის მომავლით დაინტერესებულნი ვართ. პირადად ბატონი გიგი უგულავაც და მეც ვემხრობით უმოკლეს ვადაში სტადიონის მოწესრიგებას იმ დონემდე, დედაქალაქს რომ ეკადრება. რაც შეეხება ინვესტიციის მოზიდვას, შემიძლია საკუთარი პოზიცია დავაფიქსირო: თუკი სოლიდური კომპანია გამოთქვამს ამ სამუშაოების დაფინანსების სურვილს და ამისთვის საჭირო იქნება სააქციო საზოგადოებაში წილების გადანაწილება, მერია ამის წინააღმდეგი არ იქნება.

მერიის ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ირაკლი არდაშელიამ კი განგვიმარტა, რომ ეროვნული სტადიონი ერთი რომელიმე სამსახურის დაქვემდებარებაში არ არის. მას, როგორც მერიის საკუთრებას, ყველა სამსახური თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე კურირებს. რაც შეეხება უშუალოდ სტადიონის მართვას და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებას, ეს მერიის მიერ დანიშნული სამეთვალყურეო საბჭოს და მისი ხელმძღვანელის მიერ ხორციელდება.

მოკლედ, ახლა ჯერი თბილისის მერიაზე და მერ გიგი უგულავაზეა.

გიორგი ნოზაძე

ინგლისი

ჩემპიონატი
გადადებული მატჩი
საუთჰემპტონი 0:0 კრ. პალასი
ლიგის თასი. 1/2 ფინალი
საპასუხო მატჩი
მანჩესტერი 2:1 ბლეძბერნი (1:1)

გერმანია

თასის
მეოთხედფინალი
არმინია 1:1 (4:2 პენ.) ოფენბახი
მიუნხენი 1:3 *აინტრახტი*
ზანკტ პაული 3:1 ვერდერი

ესპანეთი

თასის 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩები
ესპანიოლი 2:0 კადისი (2:0)
რეალი 1:0 ბეტისი (1:0)

იტალია

თასის 1/4 ფინალი
პირველი მატჩები
უდინეზე 1:1 სამპდორია
მილანი 1:0 პალერმო

ბელგია

თასის 1/4 ფინალი. I მატჩები
გენტი 2:1 სტანდარდი
მუსკრონი 0:0 ბევერენი
სენტ ტრუიდენი 0:0 შარლეროა
ვარეგემი 3:0 ვესტერლო

შოტლანდია

ლიგის თასი
ნახევარფინალი
დანფერმლაინი 1:0 ლივინგსტონი

ამსანაგური მატჩები

ფინეთი 0:1 კორეა
საუდის არაბეთი 1:1 საბერძნეთი

მეტოქეებს თბილისში აუცილებლად დავპატიჟებთ

ნოდარ ახალკაცს კენჭისყრის არ ეშინია

ხვალ შვეიცარიული მონტრო ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრას უმასპინძლებს. ქართული დელეგაცია ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის, გენერალურ მდივან უჩა უგულავას და ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერის შემადგენლობით უკვე იქ არიან.

ნოდარ ახალკაცს გუშინ შვეიცარიაში გაფრენამდე ვესაუბრეთ...



გიორგი ციცალიძის ფოტო

— როგორი განწყობით მიემგზავრებით შვეიცარიაში?

— ვნახოთ, რაც იქნება, იქნება... ვინც უნდა გვერგოს მეტოქედ, ჩვენი მიზანი უცვლელია და ნებისმიერ შემთხვევაში ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ.

— კენჭისყრის შემდეგ ჩვენი თანაჯგუფელი ქვეყნების დელეგაციებთან გექნებათ შეხვედრა. კალენდრის შესამუშავებლად თბილისში შეკრებას ხომ არ შესთავაზებთ?

— ჩვენი მხრიდან ამას აუცილებლად შევთავაზებთ და იმედია, საქართველოში შეკრება სხვებისთვისაც მისაღები იქნება.

— როგორ შეაფასებთ პორტუგალიური ოთხთა ტურნირის პირველ სათამაშო დღეს?

— ვესაუბრე ჩვენი დელეგაციის წარმომადგენლებს, მათ შორის ჰაინც ტოპმიოლერსაც. მოგეხსენებათ, პორტუგალიაში იმყოფება ჩვენი ოპერატორიც და ტურნირის დასრულების შემდეგ სამწვრთნელო შტაბს თითოეული შეხვედრის დეტალურად გარჩევის საშუალება ექნება. ამ ტურნირის შედეგს ნაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებთ. მთავარია, გუნდი სრულფასოვნად მოემზადოს მაისისთვის, როცა ოფიციალური შესარჩევი შეხვედრები გველის.

— ტურნირში ახალგაზრდული ნაკრებები მონაწილეობენ, საქართველო კი, ფაქტობრივად, 19-წლამდელებით გამოდის...

— სხვათა შორის, თავიდან სხვანაირად იყო დაგეგმილი ამ ტურნირის გამართვა. რეგლამენტი ბოლო მომენტში შეიცვალა და საკვიზო ფორმალობების გამო ვეღარ მოვახერხეთ შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა. ახალგაზრდული კი არა, 1978-79 წლებში დაბადებულ ფეხბურთელებსაც კი აქვთ თამაშის უფლება. გამოდის, ჩვენს ფეხბურთელებს მათზე ათი წლით უფროსებთან უწევთ თამაში.

— ერთიც: რამდენად რეალურია თებერვლის ბოლოდან ეროვნულ სტადიონზე რემონტის დაწყება?

— საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული, გარკვეული დეტალები შესათანხმებელია. იმედი გვაქვს, ყველა პრობლემა მოგვარდება და ახალ შესარჩევ ციკლს გაცილებით მომზადებულები შევხვდებით.

გიორგი ნოზაძე

მელქაძეს კონკურენტი გამოუჩნდა



ცხელი ამბები გერმანელი კოლეგებისგან: მეორე ბუნდესლიგის „ზაარბრიუკენში" გუშინ ლევან მელქაძემ მეორედ ივარჯიშა.

ამასობაში კი, „ზაარბრიუკენში" გასინჯვაზე მისულა კიდევ ერთი ფორვარდი, რომლის გვარსახელი გერმანელმა კოლეგებმა ვერ გვითხრეს, მაგრამ ის კი შეგვატყობინეს, „ზაარბრიუკენი" ამ ორიდან აარჩევს სათავისო ფეხბურთელსო.

ერთი სიტყვით, მელქაძეს კონკურენტი გამოუჩნდა და ჯერჯერობით „ზაარბრიუკენს" გადაწყვეტილება არ მიუღია.

დავით თავართქილაძე

გოგიტა გოგუა ელის, ნალჩიკი აკვირდება

გოგიტა გოგუა ისევ ნალჩიკის „სპარტაკშია" და გუნდს მეორე შეკრებაზე გაჰყვა კისლოვოდსკში. რუსული პრემიერლიგის დებიუტანტებმა თურქულ შეკრებაზე ხუთი მატჩიდან ხუთივე მოიგეს, გოგუამაც ხუთივეში ითამაშა და რამდენიმე ახალწვეულთან ერთად, ისიც საკონტრაქტოდ გამზადებულ ფეხბურთელად მოიაზრება.

თუმცა ნალჩიკელთა მწვრთნელი, იური კრასნოჟანი ფრთხილობს, ხუთ მატჩს არ დავჯერდები, კიდევ უნდა დავაკვირდე ფეხბურთელებსო. კრასნოჟანმა ისიც თქვა, ფლანგელი ნახევარმცველები და ცენტრალური მცველი გვჭირდებაო, ანუ გოგუას პოზიცია არ უხსენებია. რას გაიგებ...

გოგიტა თუ გუნდთან ერთად მაინც ვარჯიშობს, მისი ყოფილი ხიმკელი თანაგუნდელი გიორგი ლომაია ჯერაც უკლუბოდაა. საქართველოს ნაკრების მეკარეს, როგორც იცით, „ხიმკიდან" წასულ პრეზიდენტ ანდრეი ჩერვიჩენკოსთან აქვს პირადი კონტრაქტი გაფორმებული — ჩერვიჩენკოს ასეთი ფეხბურთელები სხვებიც ჰყავს და ისინი ლომაიასთან ერთად ცალკე ვარჯიშობენ...

ილია ნანოგაფშვილი



*123#

- სიახლე
- ლოგოები
- მელოდიები
- ნახატები
- 18 +
- ჰოროსკოპი
- ვალუტის კურსი
- ფეხბურთი
- ამინდი



wap.geocell.com.ge

- ჰოლიფონიური მელოდიები
- MP3
- ფერადი ფონები
- ფერადი ანიმაციები
- ვიდეო
- თემები
- თამაშები
- ჰოობსამები
- 18+
- ჰოროსკოპი
- ფეხბურთი
- ამინდი
- ვალუტის კურსი

ბადრი კეთილაძის ფოტო

ჩერნიშოვი მოსკოვში დინამოს მწვრთნელია

თბილისის „დინამომ“ არ იქნა და ანდრეი ჩერნიშოვი ოფიციალურად მწვრთნელად არ გამოაცხადა. კონტრაქტის დელატები კიდევ შესათანხმებელიაო, ამბობენ „დინამოში“, არადა, მესამე დღეა, გუნდი ჩერნიშოვის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს.

აი, რუსულმა გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ კი „დინამოს“ ახალ თავკაცთან გასაუბრება უკვე მოახერხა და, რაც მთავარია, ჩვენს რუს კოლეგებს ჩერნიშოვმა მწვრთნელის რანგში მისცა ინტერვიუ. ჩვენთვის კი, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ჩერნიშოვთან საუბარი, რატომღაც დღემდე ტაბუდადებულია.

„სოვეტსკი სპორტს“ ანდრეი ჩერნიშოვმა ეს უთხრა:

— თბილისის „დინამო“ რომ ჩაიბარეთ, ჩვენთვის დიდი მოულოდნელობა იყო...

— ეს ჩემთვისაც მოულოდნელი გამოდგა. ისე, თბილისელებს, როცა მათგან წინადადება მივიღე, მწვრთნელი ჰყავდათ და მაშინ შემოთავაზებაზე უარის თქმა მინდოდა.

— წინადადება როდის მიიღეთ?

— ესენგეს ტურნირზე. თუმც მოლაპარაკებები „დინამოს“ თბილისში დაბრუნების შემდეგ გაგრძელდა, როცა კახა ცხადაძემ პოსტი დატოვა.

— და მაინც, რატომ დათანხმდით „დინამოს“ წინადადებას?

— პირდაპირ გეტყვით, ფინანსური საკითხი ჩემთვის გადამწყვეტი არ ყოფილა. „დინამოს“ შემოთავაზებას კი იმიტომ დავთანხმდი, რომ ჩემთვის საინტერესოა ასეთ სახელოვან გუნდში მუშაობა.

— „დინამოს“ ხელმძღვანელებმა არჩევანი მაინცდამაინც თქვენზე რატომ გააკეთეს?

— ეს მეც ვიკითხე. მიპასუხეს, რომ ჩემი გაწვრთნილი რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების თამაში მოსწონდათ. რა თქმა უნდა, ბოლო მატჩებში ახალგაზრდულმა ნაკრებმა შთაბეჭდილება წაახდინა, მაგრამ იქამდე, დამეთანხმებით, მართლაც კარგად ვთამაშობდით.

— სხვათა შორის, „დინამოსაც“ ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავს...

— შესაძლოა, „დინამოში“ ამიტომაც მიმიწვიეს. მიუხედავად იმისა, რომ მართლაც ახალგაზრდული გუნდი გვყავს, ჩვენ საქართველოს ჩემპიონატი უნდა მოვიგოთ და ევროსარბიელზე ღირსეულად ვითამაშოთ. თუმცა, იქამდე ჯერ ადრეა.

— გუნდი გაძლიერებას აპირებს?

— დღესდღეობით ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი ტრავმირებულია და მათ ვამოჯანმრთელებას ველით. ახლახანს კი გასასინჯად ორი ბრაზილიელი ჩამოვიდა.

ოლიმპიაკოსი შეჩერდა

ფოფხაძეს ირაკლისს და ლარისას სთავაზობენ

18 წლის გიორგი ფოფხაძის ოლიმპიაკოსურ ამბავზე გუშინწინ ვწერდით და ცალკე ბერძნული გრანდის თავკაც ტრონდ სოლიედთან და ცალკე თავად ფოფხაძესთან ინტერვიუებსაც წაიკითხავდით, სადაც ცოტა ჩახლართულად მოგვეჩვენა საქმე.

გიორგიმ გვითხრა, „ოლიმპიაკოსთან“ კონტრაქტს არაფერი უდგას წინ, მწვრთნელი ძირითადი გუნდისთვის მამზადებს, ეგაა, არაევროკავშირელთა ლიმიტის გამო სამი თვე ვერ ვითამაშებო. სოლიედმა კი, ქართველს კიდევ დავაკვირდები, მაგრამ სადღეისოდ „ოლიმპიაკოსის“ მეორე გუნდისთვის თუ იქნება მზადო.

„ოლიმპიაკოსს“ ხუთი არაევროკავშირელი ჰყავს, მეექვსე ასეთივე ფეხბურთელის აყვანა კი ბერძნულ კლუბს აკრძალული აქვს. სიტუაციაში თავად ფოფხაძემ გაგვარკვია, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით: „ლიმიტის გამო „ოლიმპიაკოსში“ სამი თვე ვერ ვითამაშებ და ხვალ-ზეგ ისეთ ბერძნულ კლუბში გამიშვებენ, სადაც არაევროკავშირელები ცოტანი არიან და თან განაცხადში ოც კაცზე მეტი არ ჰყავთ. „ირაკლისში“ ან „ლარისაში“ ვითამაშებ, მაგრამ მხოლოდ სამი თვით“.

გიორგის თქმით, ამ სამ თვეში „ოლიმპიაკოსის“ ხუთი არაევროკავშირელიდან ერთი, ნიგერიელი არუნა ბაბანგიდა საბერძნეთის მოქალაქეობას მიიღებს და ქართველ ლეგიონერს ადგილი გაუთავისუფლდება. ამგვარი მეთოდები კი, მოგეხსენებათ, მთელ ევროპაში აპრობირებულია.

„მოკლედ, არაევროკავშირელობამ შემაფერხა. ლიმიტის გამო „ოლიმპიაკოსის“ მეორე გუნდში თამაშიც არ შემიძლია, აქ ასეთი მკაცრი წესებია. დიდად არ ვნაღვლობ, „ლარისა“ იქნება თუ „ირაკლისი“, მთავარია, სათამაშო პრაქტიკა მექნება და სამ თვეში „ოლიმპიაკოსში“ დავბრუნდები“ — გვითხრა ფოფხაძემ.

მოკლედ, ბაბანგიდას ველით?

ილია ნანოგაშვილი

მუჯირი გერმანიას და რუსეთს ფიქრობს

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ დავით მუჯირს ავსტრიულ „შტურმთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს, მაისში უმთავრდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, დიდი შანსია, მუჯირმა გუნდი მანამდეც დატოვოს. გრაცელებმა ჩვენიანს კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზეს, თუმცა „მუმუ“ ჯერ არ ჩქარობს და ფიქრობს. ფიქრის საფუძველი კი მას ნამდვილად აქვს — ავსტრიული ვებგვერდების ცნობით, მუჯირს გერმანული და რუსული კლუბები ეპატიჟებიან.

„შტურმი“ 28 იანვარს თურქულ ბელეკში მიდის ორკვირიან შეკრებაზე და გუნდს ქართველი ფეხბურთელიც მიჰყვება. რას გადაწყვეტს დავით მუჯირი, ძნელი სათქმელია, თუმცა გამორიცხული არაა, მან დარჩენილი ოთხი თვეც „შტურმში“ გაატაროს და მერე გადავიდეს ახალ გუნდში.

კახა შალამბერიძე

კალენდარი დღეს დამტკიცდება

დღეს, 15 საათზე საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის სხდომაა დანიშნული. დღის წესრიგში სულ სამი საკითხია: მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის კალენდრის დამტკიცება, ჩემპიონატის შეხვედრებისას გასათამაშებელი ლატარიის პროექტის განხილვა და ჭაბუკთა ლიგის ზოგიერთ გუნდში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობის შესახებ მსჯელობა.

თქვენი ინტერვიუ

კლაუს ტოპმიოლერთან

თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იქნება.

კითხვები 5 თებერვლის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და ჰერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.

იაქტიურეთ!



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

კობა ჟორჟიკაშვილი:

პატარები ვართ, მაგრამ ვიზრდებით

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა პორტუგალიაში ოთხთა ტურნირის პირველი მატჩი სლოვაკეთთან 1:3 წააგო.

— ჩვენი უპირველესი საზრუნავი ჯერჯერობით ისაა, რომ ბიჭებმა გამოცდილება შეიძინონ, გუნდი შეთამაშდეს და ოფიციალურ მატჩებს საფუძვლიანად მომზადებულნი შევხვდეთ — გვითხრა ნაკრების მწვრთნელმა კობა ჟორჟიკაშვილმა, რომელსაც პორტუგალიაში გუშინ დავუკავშირდით — ამ ტურნირზე ყველაზე უმცროსი სწორედ ჩვენი ნაკრებია, მეტოქეებს კი 24-25 წლის ფეხბურთელებიც კი ჰყავთ. მაგალითად, სლოვენიის ნაკრებში მხოლოდ ერთი ფეხბურთელია 19 წლის, დანარჩენები მასზე ხუთი-ექვსი წლით უფროსები არიან. პორტუგალიის ნაკრებში კი სულაც ეროვნული გუნდის ფეხბურთელები თამაშობენ — უგო ვიანა, კვარესმა...

— პორტუგალიაში ქართულ დიასპორას შევხვდით და მათგან გავიგე, რომ ამ ტურნირზე მასპინძლები იმ შემადგენლობით თამაშობენ, რომელიც ქვეყნის მეორე გუნდად ითვლება.

— არც არის გასაკვირი, რომ სლოვაკეთთან წავაგეთ. აშკარად ჩანდა, ჩვენები მეტოქეს ფიზიკურად ვერ გაუტოლდნენ. თუმცა ისიც სათქმელია, რომ საქართველოს ნაკრებმაც ნორმალურად ითამაშა. თანაც ნუ დავივიწყებთ, ჩვენ მზადება სულ ახლახანს დავიწყეთ და ბიჭები სათანადო ფორმაში ჯერ არ არიან, ერთ-ორ თვეში კი გაცილებით უკეთესი გუნდი გვეყოლება.

— მატჩებში შვიდი ფეხბურთელის შეცვლაა ნებადართული, მათ შორის ერთი აუცილებლად მეკარე უნდა იყოს. სამი შეცვლა პირველ ტაიმშია შესაძლებელი, სამიც შესვენების შემდეგ.

— ჩვენთან ერთად ეროვნული ნაკრების მწვრთნელის თანაშემწეები რალფ მინგე და ჰაინც ტოპმიოლერიც არიან. ისინი გუნდის ვარჯიშებსაც ესწრებიან და უკვე რამდენიმე ფეხბურთელიც ჩაინიშნეს. მათ ფეხბურთელთა გვარები ჯერ არ უთქვამთ, თუმც ბიჭების მომზადების დონით კმაყოფილნი დარჩნენ და კლაუს ტოპმიოლერსაც მიაწვდიან ინფორმაციას.

— ტურნირის შემდეგ პორტუგალიაში კიდევ რამდენიმე დღით დავრჩებით. 28-ში, 31-ში და 3 თებერვალს მასპინძლეთა გუნდებთან გვაქვს მატჩები დაგეგმილი. მერე ჩამოვალთ და აზერბაიჯანს შევხვდებით. მოკლედ, ამ გუნდს სათამაშო პრაქტიკა არ უნდა მოაკლდეს და შესარჩევ ეტაპსაც კარგად მომზადებულნი შევხვდებით...

სლოვაკეთთან საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *თევდორაძე, მჭედლიშვილი, ხიდეშელი, გვაძაძია (თომაშვილი 41), ელბაქიძე, განუგრავა, ჭელიძე, ბჟალავა, ჩირიკაშვილი, გოცირიძე, წინამძღვრიშვილი (ჩიმაკაძე 41).*

ერთადერთი გოლი კი ამერელმა ბესიკ ჩიმაკაძემ გაიტანა.

ლუკა თალაკვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი კეთილაძის ფოტო

გიორგი ჩიხრაძის „ამერი“ საერთაშორისო ტურნირში აღარ ითამაშებს

ამერს ანთალიაში წვიმაც დახვდა და დემეტრაძეც

ეს დღეებია, თითქმის მთელ თურქეთში გადაუღებლად თოვს და ყინვაა. გამონაკლისი მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროა, თუმცა ანთალიაში ჩასულებს ამინდი მაინც არასახარბიელო დაგვხვდა — დილიდან გადაუღებლად წვიმდა.

თბილისი-სტამბოლი-ანთალიის რეისს „ამერი“ არასრული შემადგენლობით წამოჰყვა. წინა დღით ხუთი ახალგაზრდა ამერელი საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებთან ერთად პორტუგალიაში გაემგზავრა საერთაშორისო ტურნირზე სათამაშოდ. მათ გარდა ყველა ამერელი ანთალიაშია. მათთან ერთადაა გუნდში გასინჯვაზე მყოფი თავდამსხმელი, სპარტაკელი ვასილ ღუჭაშვილიც. „ამერი“ შარშანდლის მსგავსად, ანთალიის მახლობლად დაბა ბელეკში სასტუმრო „არკადიაში“ დაბანაკდა, სადაც რამდენიმე სხვა გუნდიც გადის შეკრებას. დღესვე აქ ვლადიკავკაზის „ალანია“ ჩამოვიდა და ამერელებსა და გიორგი დემეტრაძეს, რა თქმა უნდა, გულთბილი შეხვედრა ჰქონდათ.

შეკრების დაწყებამდე ერთი თვით ადრე ჩვენმა თურქმა მასპინძლებმა გვაცნობეს, რომ ანთალიაში საერთაშორისო ტურნირის გამართვას გეგმავდნენ, რომელზეც „ამერიც“ იყო მიწვეული. შემდგომში ტურნირის მონაწილეთა სია შეიცვალა, „ამერის“ ანთალიაში გამომგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე კი გადაწყდა, ტურნირი აღარ ჩაეტარებინათ. მიზეზი ის იყო, რომ მიწვეულ გუნდთა ნაწილმა ფრინველის გრიპის შიშით თუ სხვა მიზეზთა გამო თურქეთში ჩასვლა იუარა.

ტურნირის ჩაშლას „ამერის“ გეგმები არ აურევია. „ყვითლებს“ ამ ტურნირის ჩემპიონატის სამეორეწრეოდ მოსამზადებლად გამოყენება სურდათ და ახლა ამ მიზნით ამხანაგურ მატჩებს ჩაატარებენ — „ამერს“ უკვე აქვს შემოთავაზება ანთალიაში მყოფი რამდენიმე გუნდისგან და ახლა მოლაპარაკება მატჩების ჩატარების თარიღებზე მიდის. პირველი მეტოქე კი უკვე ცნობილია: 27 იანვარს „ამერი“ ბულგარულ „ბელასიცას“ შეხვდება. მატჩი თბილისის დროით 16.30 საათზე დაიწყება.

შეკრების პირველ დღეს კი, სადილისა და დასვენების მერე, გიორგი ჩიხრაძემ გუნდი მსუბუქად ავარჯიშა.

გიორგი დარჯანია ბელეკიდან

ფაქტები ფაქტების წინააღმდეგ

დილა იყიდება: 167 000 დოლარი ერთი...



ბადრი კეთილაძის ფოტო

გორის „დილა“ იმდენჯერ გამოვიტირეთ და იმდენჯერ ფერფლიდან აღვადგინეთ, თვლა აგვერია — თავად კლუბის ხელმძღვანელებმა დაუსვეს ჯვარი, ჩათვალეთ, რომ დავიშალეთო. ვინ იცის, მათ გაბრაზებული კაცის პოზიციიდან ილაპარაკეს თუ საშველი მართლაც აღარაა, ფაქტი ისაა, რომ „დილა“ დღესდღეობით არ არსებობს, თუმცა მეორე ფაქტი გუშინ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვებგვერდზე აღმოვაჩინეთ — „დილა“ იყიდებაო!

ვებგვერდი გვამცნობს, რომ შპს „დილას“ გაყიდვის საპრივატიზაციო ფორმა კონკურსია, საწესდებო კაპიტალი კი 3 190 ლარია. შავით თეთრზე წერია ისიც, რომ კლუბის დავალიანება 60 000 დოლარია, ხოლო საწყისი გასაყიდი ფასი — 167 000 დოლარი. იქვე მითითებულია წინასწარი გადახდის პირობები, ეგრეთ წოდებული ბე (17 000 დოლარი), რომელიც კონკურსის წარდგენამდე უნდა იქნეს გადახდილი. და ვინაა გამყიდველი? გორის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო, ხოლო ტენდერის ჩატარების თარიღი 15 თებერვალია...

საკონკურსო პირობებში ექვსი პუნქტია: 1. მაქსიმალური ფასის დასახელება, რომელიც უნდა აღემატებოდეს საწყის გასაყიდ ფასს (167 000 დოლარს); 2. გუნდის წლიური ბიუჯეტი არანაკლებ 500 000 ლარს უნდა შეადგენდეს; 3. „დილას“ სახელფასო დავალიანება (60 000 დოლარი) მყიდველებმა არანაკლებ სამ თვეში უნდა გადაიხადონ; 4. მყიდველმა მის მიერ დასახელებული თანხა ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში უნდა გადაიხადოს; 5. „დილას“ არ უნდა შეეცვალოს სახელი; 6. მყიდველმა დანარჩენი საკონკურსო პირობები უნდა დაკმაყოფილოს.

და კიდევ, თუ მყიდველი ბევრი იქნება და ყველა მათგანი დააკმაყოფილებს კონკურსის პირობებს, სამმართველო უფლებამოსილია, რიგითობის მიხედვით დაადგინოს საუკეთესო წინადადებები და მათთან მოლაპარაკებები აწარმოოს...

რა უნდა ვთქვათ, საინტერესო ინფორმაციაა. შიდა ქართლის გუბერნატორმა მიხეილ ქარელმა რამდენიმე დღის წინ გვითხრა, „დილას“ ერთი მყიდველი უკვე გამოუჩნდაო და... ისე, 15 თებერვალი ნამეტანი გვიანი კია, მაგრამ ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებამდე ესწრება და ასეც არ იყოს, „დილა“ ახლა ისეთ დღეშია, ოღონდ ეშველოს და 20 დღეს ვეღარ მოითმენს?..

დაველოდოთ მომდევნო მსურველ მყიდველს. ისე, გორში იმასაც ამბობენ, ნამეტანი დიდი ფასი ადევს კლუბს და გვეშინია, ინვესტორები არ დაფრთხნენო...

ვნახოთ...

ილია ნანოგაშვილი

დღეს მსაჯები იწყებენ

ფიფას, უეფას და სფფ-ის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს ჩემპიონატის მომსახურე მსაჯების და მსაჯთა დამკვირვებლების პროფესიონალური დონი ამაღლების მიზნით, 26 იანვრიდან 4 თებერვლის ჩათვლით ტექნიკურ ცენტრ „ბასა“-ში (ეროვნული ნაკრების ბაზა) გაიმართება სასწავლო-საწვრთნელი შეკრება.

შეკრებაში მონაწილეობას მიიღებს 50 მსაჯი და 45 მსაჯთა დამკვირვებელი და დელეგატი.

5 თებერვალს შედგება მსაჯთა ტესტირება ფიზიკურ მომზადებაში.

სასწავლო-საწვრთნელო შეკრების ძირითადი თემებია: თეორიული მეცადინეობა; მსაჯთა პრაქტიკა; შეცდომების ანალიზი და მათი გამოსწორების მეთოდები; თამაშის წესების პრაქტიკული გამოყენება; სიახლეები წესებში; ფიზიკური მომზადება; პრაქტიკული მსაჯობა (ამხანაგური შეხვედრების მომსახურება, კოლექტიური განხილვა); ფიფადან და უეფადან მიღებული ვიდეომასალის ჩვენება.

თეორიულ მეცადინეობებში პერიოდულად მონაწილეობას მიიღებენ ფეხბურთის მატჩების მსაჯობის მსურველი გოგონები.

4 თებერვალს 16 საათზე კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტი იწვევს უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდების წარმომადგენლებს გაცნობით შეხვედრაზე.

სფფ-ის სამსაჯო კომიტეტი

სასამართლოში შეხვედრამდე

აგორდა: „მარსელის“ ოდინდელმა პრეზიდენტმა, ბიზნესმენმა, ყოფილმა მინისტრმა და ნაჯდომმა თაღლითმა ბერნარ ტაპიმ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ტაპი უჩივის თავისი გუნდის ყოფილ ფეხბურთელს ჟან-ჟაკ ეიდელს, „ეკიპს“, მის რედაქტორს და ლონდონის „არსენალის“ შნვრთნელს არსენ ვენგერს, რომელთაც 1990-იანი წლების „მარსელის“ წარმატებებს საჯაროდ მოსცხეს ჩირქი

მარსელ დესაი



დიდიე დეშანი

ეიდელი მარსელს თერთმეტამდე ავსებდა

ვიცით, რომ საქმის კურსში ბრძანდებით, მაგრამ იქნებ ვინმეს გამორჩა და ამიტომ ძალიან მოკლედ გავიმეორებთ ორომტრიალის მიზეზს: გასული შაბათის „ეკიპში“ გამოქვეყნდა ზემოთ ხსენებული ეიდელის ინტერვიუ, რომელშიც მან განაცხადა, 1993 წლის ჩემპიონთა თასის ფინალის წინ კლუბის ხელმძღვანელების მოთხოვნით მოთამაშეები დაგვრაზმეს და დოპინგის ნემსები გაგვიკეთესო. ამ განცხადებას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ისიც კი ითქვა, რომ საქმე უეფამ უნდა გამოიძიოს და თუ ყველაფერი ასეა, 13 წლის წინ გათამაშებული თასი დამარცხებულ ფინალისტ „მილანს“ უნდა გადაეცეს. რაც შეეხება არსენ ვენგერს, იგი 90-იანი წლების დასაწყისში „მონაკოს“ ედგა სათავეში ანუ, სხვა სიტყვებით, „მარსელის“ დიდების ეპოქაში ჩემპიონი ვერ ხდებოდა და ახლა, როდესაც ძველის გახსენება სთხოვეს, განაცხადა, ტაპი ყველაფერს ყიდულობდა და ფეხბურთელებს დოპინგით ჭყიპავდაო.

ასე და ამგვარად, ბერნარ ტაპიმ სასამართლოს მიაკითხა. რამდენადაც ცნობილია, სასამართლოს კარზე აპირებს მიკაკუნებას მაშინდელი „მარსელის“ კიდევ ერთი ფეხბურთელი, ჩვენთვის კლუბის გარდა საფრანგეთის ნაკრებიდან ცნობილი ფრანკ სოზეც.

კაცმა რომ თქვას, მაშინდელ ფეხბურთელთა აღშფოთება გასაკვირი არც უნდა იყოს. მაგალითად, 90-იანი წლების ევროპული და მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთმა გამოჩენილმა ვარსკვლავმა მარსელ დესაიმ სააგენტო „ფრანს პრესს“ განუცხადა: „ის, რაც ეიდელმა თქვა, ტყუილია. მიუნხენის მატჩის შემდეგ უეფამ დოპინგ-ტესტებიც ჩატარა და დასკვნაც გააკეთა. ყველაზე დიდი უსინდისობა კი ის არის, რომ ხალხში ჩვენი წარმატება შეიბღალა, ეჭვი გაჩნდა, თითქოს ყველაფერი პატიოსნად არ იყო. ეს ამბავი ძლიერ მაღიზიანებს.“

დიდიე დეშანის აგენტმა ჟენო ვერთმა ბრძანა, რომ მუსიე დეშანს ეიდელის ნათქვამზე კომენტარის გაკეთება არ სურს, ხოლო ხორვატმა ალენ ბოქშიჩმა სიტყვები არ დაიშურა:

„ის, რაც ეიდელმა 1993 წლის ფინალზე თქვა, სისულელეა. ჩვენ მიუნხენის თამაშის წინ სერიოზულად ვემზადებოდით და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. აი, თავად ეიდელი კი იმ შეხვედრაში გუნდს მხოლოდ და მხოლოდ თერთმეტამდე ავსებდა, თორემ დასამახსოვრებელი არაფერი გაუკეთებია. ნემსებს კი როგორ არ ვიკეთებდით, ოღონდ ყველაფერი ექიმებთან გახლდათ შეთანხმებული. ეს ვიტამინები იყო. საბოლოოდ კი იმას ვიტყვი, რომ სამწუხაროა, როდესაც ადამიანი ასეთი მეთოდებით ცდილობს სახელის და ფულის მოპოვებას.“

და ბოლოს, რა შუაშია აქ „ბორდო“? როგორც ჩანს, მართლაც არაფერ შუაშია, უბრალოდ, „ეკიპს“ შეეშალა რაღაც. კერძოდ, სამშაბათის „ეკიპში“ გამოქვეყნდა ბერნარ ტაპის ციტატა, სადაც ის ამბობს, რომ 1999 წელს „ბორდოსა“ და „პარი სენ ჟერმენს“ შორის გამართული მატჩი, რომელიც „ბორდომ“ ბოლო წამს გატანილი გოლის წყალობით 3:2 მოიგო, ჩაწყობილი იყო. ამ ნათქვამმა „ბორდოს“ ხელმძღვანელები გადარია და მათაც ოფიციალური მრისხანე წერილი გააგზავნეს ყველა შესაძლო ინსტანციაში, თუმცა იმავ საღამოს ტაპიმ ახალ სკანდალს ცივი წყალი გადაასხა თავზე. მან თქვა:

„უპირველეს ყოვლისა, მინდა ყველამ იცოდეს, რომ მე „ეკიპისთვის“ ინტერვიუ არ მიმიცია. „ეკიპმა“ ჩემი რადიონათქვამი დაბეჭდა და დაამახინჯა. თუ „ბორდოს“ ან „პარი სენ ჟერმენის“ ხელმძღვანელობას აინტერესებს, რა ვთქვი მათ შესახებ, მოისმინონ ჩანაწერი და ნახავენ, რომ სრულიად საპირისპირო აზრს გამოვთქვამ“...

წერილს კი იმით დავასრულებთ, რომ უეფას არანაირი საქმე არ აღუძრავს. ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში.

პაპუნა კედია

მატერაცი ინტერიერს იცვლის

მიმდინარე სეზონში „მილანს“ დაცვაში რომ პრობლემები აქვს, ცხადზე ცხადია. ეს ტრავმებთან ერთად „როსონერის“ უკანა ხაზის გადაბერებითაც არის გამოწვეული. ყველაზე მეტი საყვედური კი ბოლო დროს იაპ სტამზე მოდის. ვეტერანი ჰოლანდიელი ძველებურად თამაშს ვეღარ ახერხებს და შეცდომებსაც ბლომად უშვებს. ახლა კი გავრცელდა ცნობა, სტამს წასვლა უკვე თავად უნდა, თანაც სასწარფოდო...

„მილანს“ წასვლის მსურველი ფეხბურთელი არასოდეს დაუკავებია და, ალბათ, ახლაც ასე იქნება, თუმც მანამდე კლუბმა მისი შემცვლელი უნდა იპოვოს, თორემ შავ-წითლების დაცვაში საქმე აიწეწება, მტრისას...

და ვინ იქნება სტამის შემცვლელი? მილანელებს ანდრეა ბარძალის ხელში ჩაგდება სურდათ და 9 მილიონ ევროსაც იმეტებდნენ, მაგრამ „პალერმოს“ პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ მაშინ განაცხადა, ეგ ამბავი დაივიწყეთო. ახლა კი სენსაციური ინფორმაცია ვრცელდება — „მილანში“ „ინტერის“ ცენტრალური მცველი მარკო მატერაცი გადავაო.

ამბობენ, „ნერო აძური“ უარს არ იტყვის, მოშუღარ თანაქალაქელს მატერაცი ათხოვოსო, ცხადია, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ. თანაც ეს „სკუადარა აძურას“ ინტერესებშიც შედის, სათამაშო პრაქტიკა სჭირდება. „ინტერში“ კი იგი ზედმეტად ხშირად ზის სათადარიგოთა სკამზე. მატერაცი მილანურ დერბიში ყოველთვის განსაკუთრებული ენთუზიაზმით თამაშობდა და „როსონერი“ ძალიან კი არ უყვარს, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების ხათრით (რათა ეროვნულ ნაკრებში ადგილი არ დაკარგოს) ალბათ შავ-წითელი მაისურის მორგებას არ იუარებს.

გიორგი კაკაბაძე

მარკო მატერაცი „ინტერის“ სამზარეულოს ალბათ დაემშვიდობება

იყიდება

1998 წელს გამოშვებული VOLKSWAGEN PASSAT 1.9 TDI ძრავით, ნორმალურ მდგომარეობაში, 2000 წელში ჩამოყვანილი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 8 99 90 08 68



იტალიური ჟურნალ-გაზეთები ირწმუნებიან, რომ ტურინის „იუვენტუსმა“ უკვე მიაღწია შეთანხმებას „სან პაულუსთან“ ედინალდო ბატისტა ლიბანიოს, იგივე გრაფიტეს „დელე ალპიზე“ გადასვლის თაობაზე. 26 წლის თავდამსხმელმა უნდა შეცვალოს მარსელო ზალაიეტა, რომელიც სეზონის ბოლოს ალბათ დატოვებს „იუვეს“

მოჯი გრაფიტეს ძიძებს გაუზრდევინებს



ამბობენ, გრაფიტე ტურინელებს დაახლოებით 3,5 მილიონი ევრო დაუჯდათ და მას მყისვე „ლე მანში“ გაანათხოვრებენო. ფრანგულ კლუბთან „იუვეს“ კარგი ურთიერთობა აქვს და კვალიფიკაციის ასამაღლებლად იქ უკვე გაუშვა ახალგაზრდა მცველი ლუიჯი ლავეკია და შვეიცარიელი ფორვარდი დავიდ კიუმიენტო. ბრაზილიელის თამაშს „ბებერი ქალბატონის“ წარმომადგენლები ყურადღებით დააკვირდებიან და საჭირო დროს გამოითხოვენ, თუმცა ნავარაუდევია, რომ მომავალ ზაფხულს გრაფიტეს „სიენას“ ან „მესინას“ ათხოვებენ.

გრაფიტე ბრაზილიის ნაკრების კანდიდატადაც განიხილება. „იუვეს“ გენერალურ მენეჯერ ლუჩანო მოჯის კი იგი იტალიელმა სკაუტებმა უჩჩიეს, ტურინელთა „ტრანსფერების გურუმაც“ არჩევანი მასზე სერჯო კოკეს ჩაშლილი ტრანსფერის მერე გააკეთა. „დელე ალპიზე“ სწორედ „მარსელის“ ფორვარდი უნდა გადასულიყო, მაგრამ მან „სიენაში“ განათხოვრება იუარა და შეთანხმებაც ჩაიშალა.

ძოძი კანდელაკი

უკრაინის ეროვნული გუნდისა და იტალიური „მილანის“ თავდამსხმელი ანდრეი შევჩენკო სამი დღის წინ მოსკოვში გახლდათ — „სპორტ-ექსპრესმა“ „შევა“ დსთ-სა და ბალტიის ქვეყნების 2005 წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზით დააჯილდოვა. გეხსომებათ, შევჩენკომ ეს ჯილდო წინა წელსაც ირგუნა.

ქვემდთ მცირედი შემოკლებით გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც „სპორტ-ექსპრესმა“ ანდრეი შევჩენკოს დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ ჩამოართვა...

ლივერპული მთელი ცხოვრება აუხსნელია

შევჩენკო ზვეზდას ვერ ხედავს

— ზედიზედ მეორედ გახდით „ზვეზდას“ მფლობელი. რას გრძნობთ?

— უზომოდ ბედნიერი და მადლიერი ვარ ამ აღიარებისთვის. ჟურნალისტებს უკვე მეორედ გიხდით მადლობას.

— წინა დაჯილდოება მილანის „სან სიროზე“ მოეწყო, წლეულს კი მოსკოვი თავად ირჩიეთ, რატომ?

— ერთი რომ, ამ პრიზის დაწესების იდეა თქვენ გეკუთვნით, მეორეც — ის უამრავი ქომაგი, რომელიც მოსკოვში მყავს: გულშემატკივრებთან ურთიერთობით ხომ არც ისე განებივრებული ვარ.

— ფაქტობრივად, უკონკურენტო ხართ, გამოკითხვაში წლეულსაც დიდი სხვაობით იმარჯვეთ. გამოდის, პოსტსაბჭოურ სივრცეში შევჩენკოს დონის ფეხბურთელი არ არის?

— რა გითხრათ, ალბათ, არიან, მაგრამ, მგონი, ჯერ სრულყოფილებამდე რაღაც აკლიათ. ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვიტყვი: საბჭოთა ფეხბურთის სკოლა მსოფლიოში საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი ძლიერი გახლდათ და ახლაც იგივე ვითარებაა: პოსტსაბჭოურ სივრცეში ტალანტები იყვნენ და იქნებიან, მთავარი მათი საქმისადმი პროფესიული მიდგომაა, რას და როგორ დაისახავ მიზნად.

— შარშან „ლივერპულთან“ ჩემპიონთა ლიგის დრამატული ფინალი წააგეთ. ეგებ ახლა მაინც გვითხრათ, რა მოხდა?

— არის რაღაც, რასაც მთელი ცხოვრება ვერ ახსნი, „ლივერპულთან“ ფინალიც ასეთია. მეორე ტაიმის ექვს წუთში სამი ბურთის გაშვება და მერე უამრავი საგოლე მომენტის ვერგამოყენება... მარტო ბოლო წუთზე ჩემი მომენტი რად ღირს. მაგრამ ეს ფეხბურთია, თავისი ზოგჯერ ამოუცნობი ქარიზმით.

— ცხადია, ლიგის მოსაგებად წლეულსაც იბრძოლეთ, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით სერია A-ზე.

— ვერ დაგეთანხმებით, „მილანი“ იტალიის ჩემპიონატის მოსაგებადაც იბრძოლებს.

— ნუთუ გჯერათ, რომ „იუვენტუსს“ დაეწევით?

— შეუძლებელი ნამდვილად არაფერია, მით უმეტეს, სერია A ისეთი შეჯიბრებაა, სადაც ნებისმიერ დროს შეიძლება წარმოუდგენელი რამ მოხდეს. ჩვენ „იუვეზე“ არც ვფიქრობთ, მთავარი ჩვენი თამაშია.

— ერთი თვეა, „მილანს“ კაპიტნობთ, რას გრძნობთ?

— უდიდეს პასუხისმგებლობას. ატარებდე იმ გუნდის კაპიტნის სამკლავურს, რომელიც წლების მანძილზე ბარეზის, კოსტაკურტას და მალდინის ეკეთათ, უდიდესი პატივია. მშვენივრად ვიცი, მე გუნდის კაპიტანი მხოლოდ მალდინის გამოჯანმრთელებამდე ვიქნები, მაგრამ რამდენად ვარ მისი შემცვლელი, სხვა საქმეა. იმედია, დაკისრებულ პასუხისმგებლობას თავს ღირსეულად გავართმევ, თანაც პაოლომ ტრავმა რომ მიიღო, სამკლავური თავად გადმომცა, რაც ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

— მალდინი მალე ვანაახლებს თამაშს?

— პაოლომ ვარჯიში უკვე დაიწყო, რაც ყველას ძალიან გვიხარია — მალდინის როლი „მილანში“ შეუფასებელია.

— თავდასხმაში ახალ პარტნიორებს როგორ შეეწყვეთ?

— თავიდანვე გეტყვით კრისტიან ვიერიზე, რომელიც ახლა ჩვენთან აღარაა. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში კრისტიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მილანში“ გადმოსვლით ძალიან გიხარა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის წელია და გერმანიაში თამაშის წყურვილმა გადაადგმევინა „ბობოს“ ის ნაბიჯი, რომ გუნდიდან წასულიყო. როცა ერთად ვთამაშობდით, ვიერისთან წყვილში ნაღდად არ გამჭირვებია, რაც შეეხება ალბერტო ჯილარდინოს, საერთო ენა უმალ გამოვნახეთ — წლეულს ორივემ ერთად უკვე 22 ბურთი შევაგდეთ.

— ნაკრებზეც გკითხავთ: უკრაინის ეროვნული გუნდი პირველად ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატზე სპეციალისტები კი თქვენს ნაკრებს თამაშის სტილით საპერძნეთისას აღარებენ, ჩაკეტილ ფეხბურთს თამაშობენ.

— ჯერ ერთი, მსოფლიოს ჩემპიონატი ევროპის ჩემპიონატი ნამდვილად არაა და მუნდიალი გაცილებით მაღალი დონის ტურნირია. უკრაინა პირველად ითამაშებს და დიდ მიზნებსაც რომ ვერ დავისახავთ, ესეც ცხადია. დებიუტი, მღელვარება, ამას ვერსად გავექცევით. რა თქმა უნდა, შედეგზეც ვიზრუნებთ. მაგრამ ეს უმთავრესი ნამდვილად არ იქნება. უკრაინის ნაკრები ითამაშებს თავის ფეხბურთს, თავისი ძლიერი და სუსტი მხარეებით. რაც შეეხება გამოთქმას — „ჩაკეტილი ფეხბურთი“ — ვერაფრით ვერ დავეთანხმები. დაიწყება მუნდიალი და მერე შეგვაფასეთ. ვფიქრობ, სულ ცოტა, ჯგუფიდან გასვლა შეგვიძლია.

— დიუსელდორფში ჩატარებულ წილისყრას, ცხადია, უყურებდით. მეტოქეები რომ გაირკვა, რა იფიქრეთ?

— გამიხარდა, ჯგუფში გრანდები რომ არ „ჩაგვიჯდნენ“. ესპანეთი, ცხადია, ძლიერი გუნდია, მაგრამ მასთან ტოლ-სწორად თამაში ნაღდად შეიძლება და საჭიროცაა, თანაც ყოველგვარი ემოციების გარეშე, რომ არაფერი ვთქვათ ტუნისზე და საუდის არაბეთზე. ყველაფერი ჩვენს ხელთაა, როგორც მოვემზადებით, ისევე ვითამაშებთ.

— სად უფრო იოლია თამაში, „მილანში“, სადაც თანაგუნდელები, ვარსკვლავები არიან, თუ ნაკრებში?

— ცხადია, მილანელთა კლასი და გამოცდილება ბევრად აღემატება ნაკრებისას, მაგრამ ჩემთვის მთავარი სწორედ ისაა, თუ რას ვგრძნობ, რას განვიცდი, როცა ეროვნულ გუნდში შეკრებაზე მივდივარ. ბიჭების ჟინს და თავდადებას რომ ვუყურებ, სტიმული ერთიორად მემატება.

გიორგი ვაშაკიძე

სტოპ! ლაციომ ლაციოს გაუტანა

ადრიანომ ცაცია ამაოდ იჭნია

იტალია

თასის 1/4 ფინალი. I მატჩი

ლაციო 1:1 ინტერი

0:1 სტანკოვიჩი (26), 1:1 მანფრედინი (27)

ლაციო: ბალოტა, ოდო, სტენდარდო, კრიბარი, ჯალლამბარდო, კელერი (ბური 53), დაბო, ლივერანი (ბუდინგაი 49), კ. მანფრედინი (ძური 90), დი კანიო, ტარე

მწვრთნელი: დელიო როსი

ინტერი: ტოლდო, ბურდისო, მიხაილოვიჩი, მატერაცი, ფავალი (ხ. ძანეტი 65), სოლარი, კ. ძანეტი, დ. პიზარო, ვომე, დ. სტანკოვიჩი, ხ. კრუზი (ადრიანო 65)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: სტენდარდო, ვომე

გაძევება: დი კანიო (4), ბურდისო (4)

მსაჯი: რიცოლი

10 000 მაყურებელი

მძიმე გამოდგა რობერტო მანჩინის „სტადიო ოლიმპიკოზე“ დებრუნება. „ლაციოს“ ყოფილ მწვრთნელს „ლაციოს“ წინააღმდეგ სათასო შეხვედრა ჰქონდა, რომელიც 1:1 დამთავრდა. მანჩინის „ინტერისთვის“ სტუმრად ასეთი ანგარიშის მონადირება, ბუნებრივია, კარგი იყო, მაგრამ ის, რომ მსაჯს თამაშის მეოთხე წუთზევე მოუხდა ორი ფეხბურთელის გაძევება მთლად კარგი არ უნდა ყოფილიყო... ყოველ შემთხვევაში იმათთვის, ვისაც თერმეტკაციანი ფეხბურთი უყვარს.

თუმცა, განა მხოლოდ მწვრთნელი, „ინტერის“ შემადგენლობაში „ლაციოს“ ყოფილი ფეხბურთელებიც იყვნენ. ერთი სიტყვით, მატჩი ეგრეთ წოდებულ მაღალი რისკის ჯგუფს განეკუთვნებოდა და დაიწყო კიდეც შესაბამისად: რომელი პაოლო დი კანიო და მილანელი ნიკოლა ბურდისო შეებნენ ერთმანეთს, რის გამოც „სან სიროზე“ საპასუხო თამაშს ტრიბუნიდან ან ტელევიზორში ნახავენ.

თამაშის პირველ ნაწილში „ბიანკონერელესტი“ ანუ თეთრ-ცისფერი გუნდი, ერთი სიტყვით, „ლაციო“ უფრო ყოჩაღობდა. იგლი ტარემ რამდენიმე კარგ ჩაწოდებულს ვერ მიჰკრა ჯერონად თავი, ხოლო კრისტიან მანფრედინმ თავისი ჯერი თაური ხარიხას გადაიკილა. შემდეგ კი „ინტერის“, უფრო სწორად, „ინტერის“ გოლის დროც დადგა: ჯუზეპე ფავალმ დეიან სტანკოვიჩს ჩაწოდა და სერბმაც ბურთის მარცხენა ფეხი შეაგება.

სტოპ: თუ ყურადღებას მიაქცევთ, გოლის ასისტენტიცა და გამტანიც ადრე „ლაციოს“ მოთამაშეები იყვნენ.

მაგრამ სტუმრების უპირატესობა 60 წამიანი გამოდგა. აქ შეიძლება პიერ ვომეს ბრალზე ვილაპარაკოთ, მაგრამ ცოტა — ტარეს პასით მანფრედინმ ღონივრად დაჰკრა და გაათანაბრა.

სხვათა შორის, მანფრედინის მერეც ჰქონდა მომენტი, მაგრამ მისი დარტყმული დაბლოკეს, საპირისპირო კართან კი კინაღამ ხულიო კრუზმა შეაგდო.

ისე, ტაიმთა გასაყარზე „ლაციოს“ ერთი დიდებული მომენტიც ჰქონდა — ტარემ ბურთი მკერდით მიიღო და დასცხო, ოღონდ ძელს... ფრანჩესკო ტოლდო ამ მომენტში განიარაღებული გახლდათ.

შესვენების შემდეგ „ლაციოს“ შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა „უდინეზედან“ რამდენიმე საათის გადაყვანილ სტეფანო მაურის, რომელმაც მასიმო ოდოს პასით სადებიუტო მატჩში პირველი გოლის გატანის შესაძლებლობა გაუშვა ხალიდან.

შემდეგ, კრუზმა მიხაილოვიჩის ჩაწოდებულ კუთხურს ოღნავ უზუსტოდ დაარტყა თავი. იმავე კრუზმა კიდევ ცოტა ხანში ადრიანოს შეუქმნა მომენტი, მაგრამ ბრაზილიელს გადაეღობნენ. ტარემ და სტანკოვიჩმა ბურთს თავები ბოლოწამს წაჰკრეს, მაგრამ ააცილეს... და, როგორც დასაწყისში გითხარით, „ინტერმა“ სტუმრად 1:1 ითამაშა. საპასუხო მატჩი 2 თებერვალს გაიმართება.

პაპუნა კედია

ლოტიტოს სიკვდილის ბუზი გაუგზავნეს

რომის „ლაციოს“ პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს სიკვდილით ემუქრებიან. ბოლო რამდენიმე კვირაში არაერთი წერილი მიიღო და... მოთმინების ფიალა სატელეფონო ზარმა აუვსო, როდესაც მას ერთხელაც დაემუქრნენ. ლოტიტომ ყველაფერი პოლიციას აცნობა და ამჟამად გამოძიება მიმდინარეობს.

ლოტიტოზე ზეწოლას კლუბის ქომაგები ახდენენ. მათი მუქარის წერილები და სხვა ინფორმაცია „ლაციოს“ პრეზიდენტმა პოლიციას გაცნო. გამოძიების დასრულებამდე სამართალდამცავები სხვა დეტალების გახმაურებას ერიდებიან.

საინტერესო კი ის არის, „ლაციოს“ ტიფოზები კონკრეტულად რითი არიან უკმაყოფილონი. შესაძლოა, კლუბის არც ისე დამაჯერებელი თამაშით და ამჟამინდელი მეცხრე ადგილით, მაგრამ „ლაციოში“ ლოტიტოს მოსვლის შემდეგ გუნდის მდგომარეობა აშკარად გამოსწორდა, ვიდრე გაუარესდა. თუმცა ფანები ალბათ მეტს ითხოვენ.

გიორგი ძაძაგაძე

ფეხბურთის რუკასთან

ინგლისურმა „არსენალმა“ მეკარე მარტინ პოომთან კონტრაქტი გააფორმა. „სანდერლენდის“ გოლკიპერი გასულ ზაფხულს დროებით, ექვსი თვით გადავიდა „მეთოფეებში“ და მხოლოდ ოთხჯერ ითამაშა ლონდონელთა სარეზერვო გუნდში. არსენ ვენგერი ესტონელით კმაყოფილი დარჩა და კლუბის პატრონს პოომის კონტრაქტის გამოსყიდვა სთხოვა. 33 წლის მეკარე ახლა „ხელთათმანებიანად“ არსენალელია და მესამე იქნება იენს ლემანისა და მანუელ ალმუნიას შემდეგ. ესტონეთის ნაკრების მაისურის 100-ჯერ მომრგებმა თქვა: „მიხარია რომ „არსენალმა“ შანსი მომცა. ვეცდები გულიანად გავისარჯო და გუნდს დავეხმარო“.

ფრანგული „ლიონი“ რომელი ფილიპ მექსეშის გადაბირებას ცდილობს, რომელიც იტალიურ კლუბში ორი წლის წინ ოსერიდან“ გადავიდა. „რომში“ მექსეში ტრანსფერი მაშინ გაიწელა, რადგან ოსერელები ფეხბურთელის სანაცვლოდ ფულს ითხოვენ, იტალიური გუნდი კი გადახდას არ აპირებდა. ეს საქმე უეფამ მოაგვარა და „რომაპ“ ფრანგებს თანხა მიართვა, მაგრამ ამჟამად სერია A-ს მექვსეადგილოსნებს ფინანსურად უჭირთ, რის გამოც შესაძლოა, მექსეშს შეელიონ. სამშობლოში ფრანგის დაბრუნება თუ მოახერხა, „ლიონი“ ანტონი რეგეილერს ალბათ „მილანს“ დაუთმობს, რომელსაც ლიონელი მცველის სანაცვლოდ ხუთი მილიონი ვირვანქა გაუშზადებია.

გერმანულმა „ბაიერნმა“ ფლორენციის „ფიორენტინას“ ვალერი ბოჟინოვი სთხოვა. 19 წლის ბულგარელი ფორვარდი საკუთარ გუნდს „აუგანყდა“, აქედან წასვლა მსურსო, რის გამოც მწვრთნელმა დასაჯა და სათადარიგოებში გადაბრძანა. „ბაიერნის“ ვარაუდით, ვალერი ბოჟინოვი შვიდი მილიონი ვირვანქა ღირს, თუმც „ფიორენტინას“ მწვრთნელი ჩეზარე პრანდელი ბულგარელის გაშვების წინააღმდეგია.

ბერძნული აეკი ბრაზილიელი ნახევარმცველით, ემერსონ მოისეს კოშტათი გაძლიერდა. მან ათენურ კლუბთან წლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. სხვათა შორის, 33 წლის ემერსონი ძალიან გამოცდილი ფეხბურთელია. მას „ქსანთში“, „ბელენენსესში“, „პორტუში“, „მიდლსბროში“, „ტენერიფეში“, „დეპორტივოში“, „ატლეტიკოში“, „რეინჯერსსა“ და „ვასკო და გამაში“ უთამაშია.

ესპანურ „სელტას“ ერთ-ერთი ლიდერი, 24 წლის ირინეი დაუშავდა. ბრაზილიელმა ქვეყნის თასზე „ბეტისთან“ მატჩში მუხლი დაიზიანა და ვიგოელთა ექიმების თქმით, დაახლოებით ერთი თვე ვერ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ირინეი „სელტაში“ გასულ ზაფხულს „რაიო ვალეკანოდან“ გადავიდა და ახლა კლუბში გამორჩეული ფეხბურთელია.

სოლ კემპბელი ხელცარიელი დარჩა

ნახეთ, სადა ვართ!

ინგლისი

ლიგის თასი. 1/2 ფინალი
საპასუხო მატჩი

არსენალი 2:დდ(1:0) უიგანი (0:1)

1:0 ანრი (65), 2:0 ვან პერსი (108), 2:1 რობერტსი (119)

არსენალი: ალმუნია, ჯილბერტი, ს. კემპბელი, სენდეროსი, ლორენი, გლები (პირესი 69), ჟილბერტო სილვა, დიაბი (ფლამინი 46), რეიესი, ანრი, ბერხკამპი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

უიგანი: პოლტი, ჩიმბონდა, შარნერი, ანშო, ბაინი, ტილი, ბალარდი, კავანაფი, მაპოუნი (ციგლერი 63), რობერტსი, მელორი (ჯ. იოჰანსონი 60)

მწვრთნელი: პოლ ჯუელი

გაფრთხილება: რეიესი, ჯილბერტი, შარნერი, კავანაფი, ჩიმბონდა

მსაჯი: დოუდი

34 698 მაყურებელი

უიგანი ლიგის თასის ფინალშია.

სტუმრად გატანილი გოლის წყალობით „უიგანმა“ შექმნა ისტორიად და ლიგის თასის ფინალში გავიდა.

„არსენალი“ 2:0 უგებდა პოლ ჯუელის გუნდს საპასუხო მატჩში, პირველი თამაში კი 0:1 ჰქონდა წაგებული. ჰოდა, სულ ბოლო წუთზე, ზედ „ჰაიბერიზე“, ჯეისონ რობერტსმა ერთი მაგარი დაარტყა დამატებითი დროის ბოლო წუთზე და „უიგანმა“ თავისთვის გაუგონარ ადგილს უწია სტუმრად გატანილი გოლის წყალობით. „მეთოფეებმა“ თამაში 65-ე წუთიდან მოირგეს, როცა ტიერი ანრიმ თავურით გაქვითა სტუმრად გაშვებული გოლი და თამაშიც საბოლოოდ დამატებითში გადავიდა.

პირველ დამატებითში რობ ვან პერსიმ 25 იარდიდან დაჯახა ჯარიმა, რაც თითქოს „არსენალის“ გამარჯვებას ნიშნავდა, მაგრამ ასე არ იყო: ნამცხვარა-ბიჭებმა თავისი ქნეს და ზემოთ მოთხრობილი სრულიადაც ვერ აღწერს თამაშის სულს.

„მეტად იმედგაცრუებული ვარ — თქვა არსენ ვენგერმა — რადგან ამ თამაშის მოგება გვინდოდა. ძალიან უბრალოდ და გულუბრყვილოდ გამოვიყურებოდით. იმას კი არ ვამბობ, რომ ფინალში ვერ გავედით, არამედ იმას, რომ ცუდად ვითამაშეთ. შაბათს, ასოციაციის თასზე ძირითადის ბევრ ფეხბურთელს არ ვათამაშებ. ტრავმების რისკს ვერ გავწევ“.

„უიგანის“ მეპატრონემ დეივ ვილანმა კი თქვა: „ფინალში ვართ? 28 წლის წინ მოყვარულები ვიყავით, ახლა კი, ნახეთ, სადა ვართ. ასოციაციის თასის ფინალში მითამაშია „ბლექბერნის“ შემადგენლობაში და იმ თამაშში ფეხი მოვიტეხე. მინდა, რომ ჩვენი მეტოქე ამ ფინალში სწორედ ჩემი ძველი კლუბი იყოს“.

ფინალი 26 თებერვალსაა და „უიგანი“ „ბლექბერნსა“ და „მანჩესტერს“ შორის გამარჯვებულს შეხვდება.

ირაკლი გამყრელიძე

ჩემპიონატი
გადადებული მატჩი

პლიმუთი 1:0 ლესტერი

რედინგი	30	22	7	1	62:16	73
შეფილდი	30	20	6	4	57:28	66
ლიდსი	29	16	6	7	41:24	54
უოტფორდი	30	14	10	6	49:36	52
კრ. პალასი	28	14	6	8	44:29	48
პრესტონი	29	11	14	4	37:22	47
კარდიფი	30	12	8	10	41:36	44
ვულვზი	30	10	13	7	34:26	43
ლუთონი	30	12	5	13	43:41	41
ბარნლი	30	11	6	13	39:40	39
ნორვიჩი	30	11	6	13	35:40	39
ქუინზ პარკი	30	10	9	11	34:41	39
სტოკი	30	12	2	16	35:44	38
იფსვიჩი	30	9	10	11	33:43	37
ქოვენთრი	30	8	11	11	40:44	35
პლიმუთი	29	8	11	10	27:35	35
საუთჰემპტონი	29	7	13	9	29:32	34
ჰალი	30	8	9	13	31:36	33
დერბი	30	6	14	10	40:47	32
უენსდი	30	7	9	14	24:37	30
ბრაიტონი	30	5	13	12	30:47	28
ლესტერი	30	5	11	14	29:40	26
მილუოლი	30	5	11	14	22:42	26
ქრიუ	30	4	10	16	33:63	22

ინგლისში გუსიანოგაა

ინგლისელმა ბუქმეიკერებმა უკვე დაიწყეს ფსონების მიღება სვენ გორან ერიკსონის შემცვლელის გამოცნობაზე.

ფავორიტი „ენდჰოვენისა“ და ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელი გუს ჰიდინკია, თუმცა მისი აგენტი სეეს ვან ნიუვენჰოიზენი ამბობს, რომ ასეთ თემებზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ადრეა და გუსი იქაც კარგადაა, სადაც არის.

ინგლისელთაგან სიაში არიან ბოლტონელი სემ ალარდაისი, ჩარლტონელი ალან კარბიშლი და ბოროელი სტივ მაკლარენი, რომელიც ერიკსონის ერთ-ერთი თანაშემწეცაა. თუმცა არც ერთ ამათგანს არა აქვს ჰიდინკის ნახევარი საერთაშორისო გამოცდილება.

ამის მიუხედავად, ინგლისში, როგორც წესი, ინგლისელ მწვრთნელს ითხოვენ. ინგლისელთა პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი უცხოელი მწვრთნელი ერიკსონი კი ამბობს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ფეხბურთისგან დაისვენებს.

„სქაიზე“ გამოსვლისას შვედმა თქვა: „გამიხარდებოდა, რომ ინგლისში ჩემს ფეხბურთზე უფრო მეტი ეწერათ, ვიდრე პირად ცხოვრებაზე, მაგრამ ამ ქვეყანაში ეს შეუძლებელია. ახლა საფიქრალი გერმანიაა. მე ჩემპიონობას მთხოვენ და ამისთვის ვიბრძოლებ. ჩემპიონობის შემდეგ გამიშვებენ. წავალ და ჩემ თავს მივხედავ“.

ირაკლი გამყრელიძე

ცეროდენას თვალები

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთ-ერთ მთავარ ფიგურასა და სიმბოლოს უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, პოლ სქოულზს სამწუხარო ამბავი ადგას.

ფეხბურთელს თვალები სტკივა და ეგებ საერთოდაც ველარ გააგრძელოს თამაში. უკვე გადაწყვეტილია, რომ ამ სეზონში ის მოედანზე ველარ გამოვა.

ექიმები ამბობენ, რომ მხედველობის უცაბედი კლება ფეხბურთის ბრალი არ არის, მაგრამ თუნდაც მკურნალობის შემდეგ, თამაში სასურველი არ იქნება. სქოულზს იანვარში აღარ უთამაშია. ალექს ფერგიუსონი ამბობდა, რომ პრობლემა სერიოზული არაა, თუმცა გუშინ გაირკვა, რომ არის.

კლუბის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ცეროდენა ნახევარმცველი სამ თვეს მაინც დაისვენებს და იმედია — ახალი სეზონიდან შეუდგება საქმეს.

ირაკლი გამყრელიძე

ფოგელი სირცხვილით არ გაწითლდება

იმის გამო, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ნახევარდაცვაში პრობლემები შეექმნა, ალექს ფერგიუსონი ახალი ფეხბურთელების შეძენას ცდილობს. პატრის ევრა უკვე იყიდეს, ახლა კი შვეიცარიელ იოჰან ფოგელს მიადგნენ. ჯონ ოშის ნეკნები დაემტვრა, სქოულზი სამკურნალოა და ასეთ ვითარებაში შუა ხაზის მოთამაშე გუნდს აუცილებლად სჭირდება. აქვე გავიხსენოთ, რომ როი კინი, ფილ ნეივილი, კლებერსონი და ერიკ ჯემბა-ჯემბა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გაუშვა. „მილანის“ შვეიცარიელი ნახევარმცველის, ფოგელის აგენტმა განაცხადა, ჩემი კლიენტი იტალიაშიც კარგად გრძნობს თავს, თუმც პრემიერლიგაში გადასვლაზე ალბათ უარს არ იტყვისო. 28 წლის იოჰან ფოგელი „მილანში“ შარშან მაისში გადაბარგდა და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება.

გერმანია

თასის მეოთხედფინალი

ბაიერნი 3:2დ.დ.(1:1) მაინცი

0:1 ზიდანი (21'3), 1:1 პიზარო (81), 2:1 გერერო (94), 2:2 რუმანი (106), 3:2 პიზარო (115)

ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, ისმაელი, ლამი, ჰარგრივსი (დემიკელისი 46), ქარიმი (შვაინსტაიგერი 61), ბალაკი, ზე რობერტო (პ. გერერო 73), მაკაი, კ. პიზარო

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

მაინცი: ვეტკლო, დემირტასი, მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, ვაიგელტი, ო. ადო (ნ. ვაილანდი 97), პეკოვიჩი, და სილვა, მ. ზიდანი (დ. ვაილანდი 104), ტიურკი, აუერი (რუმანი 100)

მწვრთნელი: იურგენ კლოპი

გაფრთხილება: ბალაკი, დემიკელისი, ტიურკი, და სილვა, პეკოვიჩი

მსაჯი: მეიერი

53 000 მაყურებელი

ბაიერნი გაიყინა

პაულო გერერომ მეორე გაიტანა

პერუელმა ფორვარდებმა — პიზარომ და გერერომ — მიუნხენის „ბაიერნი" სირცხვილისგან იხსნეს. ბუნდესჩემპიონი ორჯერ აგებდა „მაინცთან", მაგრამ მატჩი სათავისოდ დამატებით დროში შეაბრუნა.

ზამთრის შესვენების შემდეგ „ბაიერნისთვის" ეს პირველი მატჩი იყო „ალიანს არენაზე" და წლეულს პირველი გოლი ფელიქს მაგათის გუნდს მაინცელმა მოჰამედ ზიდანმა პენალტით გაუტანა. მიუნხენელებს „ალიანს არენაზე" თამაში არ წაუგიათ და „ბაიერნი" ამჯერად შერცხვენას კლაუდიო პიზაროს გვიანმა გოლმა გადაარჩინა.

დამატებით დროში პაულუ გერერომ შეაგდო და მასპინძლები დააწინაურა, მაგრამ პეტრ რუმანმა შორიდან ბრწყინვალე დარტყმით გაათანაბრა. ფელიქს მაგათი პიზარომ მესამე გოლით გაახარა, „ბაიერნი" კი თასის ნახევარფინალში გავიდა.

„ერთთვიანი შესვენების მერე თამაშის აწყობა ჭირს — თქვა მაგათმა — ვიცოდი, რომ რთული მატჩი გველოდა".

„ორივე გუნდმა ხალისიანად ითამაშა — განაცხადა ოლივერ კანმა — ქომაგებმა ისიამოვნებს".

გაჩა ხუციშვილი

მეორე ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი

ზიგენი 0:0 კარლსრუე

ალემანია	18	11	2	5	36:21	35
ბოხუმი	18	10	5	3	31:17	35
ფიურტი	17	9	3	5	29:24	30
მიუნხენი	18	8	5	5	26:20	29
კოტბუსი	17	8	4	5	30:23	28
ფრაიბურგი	18	8	4	6	25:22	28
კარლსრუე	18	8	4	6	23:20	28
პადერბორნი	18	8	3	7	29:19	27
ბურგჰაუზენი	18	7	5	6	22:27	26
ჰანზა	17	7	4	6	25:22	25
ბრაუნშვაიგი	17	7	3	7	20:17	24
უნტერჰახინგი	18	7	3	8	27:25	24
აუე	18	6	6	6	16:16	24
ზიგენი	18	5	5	8	21:22	20
ოფენბახი	18	5	2	11	19:38	17
ზაარბრიუკენი	18	4	3	11	17:39	15
დინამო	16	3	4	9	19:30	13
ალენი	18	2	7	9	17:30	13

დიეგო მარადონამ ლამაზი გაალამაზა

ეს არ იყო ღმერთის ხელი...

დიეგო მარადონა მორიგ შარს გადაეყარა. ლეგენდარულ კაცს ახლა ტუმატა ვაიმარაე, მავანი პოლინეზიელი ლამაზმანი უჩივის — დიეგომ კლუბ „მედიტერანეეში" გამართულ დისკოთეკაზე სახეში ჭიქა მესროლა და მიღებული ჭრილობების გამო 10 დღე სამუშაოზე ვერ გავალო. ვაიმარაეს, ყოფილ „მის ბორა-ბორას", ხსენებულ დისკოთეკაზე მარადონას უმცროს ქალიშვილთან, ჯანინასთან მოსვლია უთანხმოება. მზრუნველი მამაც ადგა და შვილის დამჩაგრავ მზეთუნახავს ჭიქა მიაფშვნა სახეში. საქმეს ახლა კუნძულის მართლმსაჯულება არკვევს და თუ დაზარალებულმა თავისი საჩივარი არ უარყო, მარადონას სამი წლით ვირის აბანოში გააგზავნიან. 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ბორა-ბორაზე დასასვენებლად ოჯახთან ერთად 4 იანვარს ჩავიდა. როგორც ხედავთ, მთლად კარგი არდადეგები ვერ გამოსვლიათ...

ლადო ხომერიკი

უგო სანჩესი და მალაგა: გამოვა?

მექსიკის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი უგო სანჩესი შესაძლოა „მალაგას" ჩაუდგეს სათავეში. ამას „ლა აფისიონი" გვამცნობს. ანდალუზიური გუნდის ამჟამინდელ მწვრთნელ ანტონიო ტაპიას კლუბის პრეზიდენტი კი ენდობა, მაგრამ „ლურჯ-თეთრთა" გულშემატკივრებს წაგებასთან დაძმაკაცებული დამრიგებელი ჭირივით ეზიზღებათ. „მალაგა" ახლა ცხრილში ბოლოდან მესამეა და თუ ტაპიამ კვირას პრიმერას 21-ე ტურში „ესპანიოლთანაც" ვერა გააწყო რა, უნდათ თუ არა გუნდის მამებს, მისი მოხსნა და უგო სანჩესის დანიშვნა მოუწევთ.

ძველი რეალელი ერთდროულად სამ ესპანურ გუნდს „ეკეკლუცებოდა" — „მურსიას", „სოსიედადს" და ხსენებულ „მალაგას". თანაც სანჩესმა მექსიკის ნაკრებთან წინასწარი ხელშეკრულების შესახებაც ამცნო მედიას — 2006 წლის მუნდიალის მერე ჩემი ქვეყნის ეროვნულ გუნდს სწორედ მე ჩავაბარებენო.

თუმც ალბერტო დე ლა ტორემ, მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, მის ნათქვამს სიცრუე უწოდა და აღნიშნა, რომ ნაკრებს უმუშევარი მწვრთნელის ხელში არ ჩააგდებენ (სანჩესი უნამის „პუმებმა" შარშან დაითხოვეს ცუდი შედეგების გამო). ამრიგად, სანჩესის საალბათო კლუბი დღეს მხოლოდ „მალაგაა".

ლადო ხომერიკი

დღეს, ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის წილისყრის წინადღეს, უეფა საზოგადოებას წარუდგენს ახალ თასს, რომელსაც ევროპის მომავალ ჩემპიონს ჩაახუტებენ.

ახალი თასი ძველზე 18 სანტიმეტრით მაღალი და 2 კილოგრამით მძიმე იქნება. ძველი 1960-ში არტუ ბერტრანმა ჩამოასხა და საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის, ანრი დელონეს სახელობისა გახლდათ. ინგლისური საოქრომჭედლო ფირმის, ASPREY LONDON-ის მიერ დამზადებული ახალი თასის პრეზენტაციას უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი და მისი ავსტრიელი და შვეიცარიელი კოლეგები დაესწრებიან.

საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი

დიჟონი 1:0 ლავალი

სედანი	23	12	9	2	33:18	45
ბასტია	23	12	7	4	33:17	43
ლორიანი	23	11	9	3	30:14	42
ვალანსიენი	23	11	8	4	31:20	41
კრეტეი	23	8	9	6	31:19	33
დიჟონი	23	8	9	6	25:23	33
კაენი	23	7	9	7	29:25	30
შატორუ	23	7	9	7	29:28	30
რეიმსი	22	6	11	5	20:14	29
მონპელიე	23	7	8	8	21:26	29
გენიონი	23	6	11	6	16:23	29
ლე ავრი	23	6	10	7	28:28	28
ამიენი	23	6	10	7	24:25	28
გრენობლი	22	7	7	8	20:24	28
ბრესტი	23	6	8	9	22:26	26
გენგამი	23	5	10	8	17:19	25
ისტრი	23	5	9	9	20:31	24
ლავალი	23	6	4	13	20:31	22
კლერმონი	23	5	7	11	18:39	22
სეტე	23	2	8	13	18:35	14

ბელგიური „გენკის" ნიგერიელმა ლეგიონერმა სანდი ოლისემ კარიერა დაასრულა. „ოლისე დილით მოვიდა ჩემთან და კონტრაქტის გაწყვეტა მთხოვა — თქვა „გენკის" სპორტულმა დირექტორმა არიელ იაკობმა — მან მითხრა, რომ ფეხბურთის თამაში მოსწყინდა". 31 წლის ოლისე ბელგიურ გუნდში შარშან დორტმუნდის „ბორუსიიდან" გადაბარგდა და გარიგების თანახმად, 2007 წლამდე უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ნაადრევად ისურვა ბურთთან დაშორება.

იტალიურმა „პალერმომ" „ბრეშას" გოლკიპერი ფედერიკო ალიარდი იყიდა. სიცილიელებმა 22 წლის მეკარესთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. ალიარდი „პალერმოს" დაახლოებით 2 მილიონი ევრო დაუჯდა და თან „ბრეშამ" ახალგაზრდა კარის დარაჯი ნიკოლა სანტონი დაუთმო. შეგახსენებთ, რომ აქამდე „პალერმომ" დავიდ დი მიკელე და დენის გოდეასი დაიმატა, ხოლო მატეო გვარდალბენი კრისტიანო ლუპატელიში გაცვალა.

ინგლისური „ლივერპულის" სათადარიგო გოლკიპერი ირჟი დუდეკი შეიძლება „კიოლნში" აღმოჩნდეს. პოლონელი ფეხბურთელის აგენტმა იან დე ზეუვმა დაადასტურა ინფორმაცია, რომ გერმანული კლუბი დუდეკისთვის ბრძოლაში ჩაერთო. „ირჟის რეგულარულად თამაში უნდა, რათა ეროვნულ ნაკრებში ადგილი არ დაკარგოს და „კიოლნის" წინადადებას მიიღებს, მაგრამ ჯერ „ლივერპულს" უნდა მოველაპარაკოთ" — თქვა დე ზეუვმა.

ისრაელის ეროვნული ნაკრები დრორ კაშტანმა ჩაიბარა. მან ფედერაციასთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ისრაელის ევრო 2008-ზე გაყვანას გეგმავს. კაშტანი ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანი მწვრთნელია, მას ისრაელის ჩემპიონატი ექვსჯერ, ხოლო თასი ხუთჯერ მოუგია. 61 წლის სპეციალისტი ივნისამდე თელ-ავივის „ჰოპოელსაც" უთავკაცებს. მერე კი მას აბრამ გრანტი შეცვლის, რომელიც აქამდე სწორედ ნაკრებს წვრთნიდა.

ინგლისურმა „მიდლსბრომ" აბელ შავიერთან კონტრაქტი ნაადრევად გაწყვიტა. პორტუგალიელი მცველი შარშან შემოდგომაზე, „ქსანთისთან" უეფას თასის მატჩის შემდეგ, დოპინგ-კონტროლზე აკრძალული პრეპარატის მიღებაში ამხილეს. უეფამ მისი საქმე გასული წლის ნოემბერში გაარჩია და 18-თვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. შავიერმა ორჯერ გაასაჩივრა განაჩენი, მაგრამ უეფელებმა არ დაინდეს. შედეგად, „მიდლსბრომ" პორტუგალიელი ფეხბურთელი გუნდიდან გაუშვა, რომელსაც კონტრაქტი 2006 წლის ბოლოს უმთავრდებოდა.

აფრიკის ეროვნებათა თასი. ეგვიპტე 2006. 20 იანვარი — 10 თებერვალი

AFP კაირიდან

ანგოლელებმა და კონგოელებმა ერთმანეთი 0:0-ზეც არ დაინდეს

მპუტუ გაპუტეს

B ჯგუფი. II ტური

ანგოლა 0:0 კონგოს დრ

ანგოლა: ჟ. რიკარდო, ჟ. პერეირა, კ. ალონსო, ლ. დელგადო, მაკანგა, ფიგეირედო (ეოაკიმი 70), ე. ნობრე, მენდონსა (მაკაბა 45), კანგე, ფლავიო (მულენესა 59), აკვა

კონგოს დრ: კალემბა, კინკელა, ბოკესე, ტშიოლოლა, კაბუნდი, მბაიო (კასონგო 71), ილუნგა, მატუმონა (მატინგუ 69), მპუტუ, მბალა (მილამბო 90), ლუა ლუა

გაფრთხილება: მაკაბა, დელგადო, კაბუნდი, ლუა ლუა

გაძევება: მპუტუ (19)

2 000 მაყურებელი

კარლოს ალონსოს ჩაწიხლვისთვის მეოცე წუთზე გაძევეს კონგოელი მპუტუ და კლოდ ლერუას გუნდი ანგოლასთან ფრეს დასჯერდა. დემოკრატიული კონგოს ნაკრებმა პირველ ტურში ტოგო დამარცხა და ანგოლელ „შავ ანტილოპებთან" მოსაგებად გავიდა, რათა მეოთხედფინალის საგზური ჩაეჯიბა, მაგრამ კაცის გაძევებამ მათი გეგმები ჩაშალა.

ტოგოელთა გოლის გამტანმა, ლომანა ტრეზორ ლუალუამ გვარიანად აწუხა „შავი ანტილოპების" მეკარე, თუმცა ბურთი ვერ შეაგდო.

